ელიზავეტა კოჩეკოვა[1]

გერმანიის გაერთიანება: სამართლებრივი საფუძვლები და არსებული წინააღმდეგობები[2]

აბსტრაქტი

აღნიშნული სტატია მიმოიხილავს გერმანიის გაერთიანების პროცესს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე, როგორც სახელმწიფოს ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალებაზე. კერძოდ, სტატია ეხება გაერთიანების ხელშეკრულების მიღებასა და იმ გამოწვევებს, რომლებიც რეგიონში უპრეცედენტო ცვლილებების გამო, გერმანიისა და ევროპული საზოგადოების წინაშე გაჩნდა. ამ ნაშრომის მიზანია, გერმანიის გაერთიანებული სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების განვითარებაზე დაკვირვება და იმის დადგენა, თუ როგორ მოახერხა ევროპულმა პოლიტიკურმა საზოგადოებამ ასეთ უნიკალურ გაერთიანებულ საზოგადოებად ჩამოყალიბება. საკვლევი კითხვა შემდეგია: როგორ მოახერხა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და გერმანიის ფედერალურმა რესპუბლიკამ მათ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი კოლიზიის დაძლევა გერმანიის გაერთიანებული სახელმწიფოს უზრუნველსაყოფად? სტატიაში გამოვლენილი მიგნებებიდან ირკვევა, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მიერ წარმოებულმა თანმიმდევრულმა პოლიტიკამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ და მუდმივმა საერთაშორისო მხარდაჭერამ, ასევე, ოთხი სახელმწიფოს დროებითმა თანამშრომლობამ, საბოლოოდ, ხელი შეუწყო გერმანიის გაერთიანებას. თავად გაერთიანების ფაქტი კი გერმანიასა და პოლონეთს შორის დიდ ხნიანი ტერიტორიული დავის გადაჭრის საშუალებად იქცა, რამაც ხელი შეუწყო ბერლინის, როგორც სტრატეგიული პოლიტიკური პარტნიორის საიმედოობას. სტატია, ასევე, ეხება რამდენიმე გერმანელ პოლიტიკოსსა და ევროპული საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს გერმანიის წარმატებულ და სწრაფ გაერთიანებას.

საკვანძო სიტყვები: *გერმანიის გაერთიანება, Staatvertrag, გდრ-სა და გფრ-ს შორის სახელმწიფო შეთანხმება, დუბლინის საბჭო, დონელის შუალედური მოხსენება.*

შესავალი

გერმანია დღესდღეობით ყველასთვის ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკური მოთამაშე საერთაშორისო ასპარეზზე, ძლიერი ინდუსტრიული სახელმწიფო 82.9 მლნ მოსახლეობით (მთლიანი შიდა პროდუქტი - $53,810) (OECD, 2021), ევროკავშირის წევრი ქვეყანა, რომელსაც ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავს ევროპის პარლამენტში და არის სამშობლო ევროკომიის პრეზიდენტ - ურსულა ვონ დერ ლეინისა (ევროპის პარლამენტი, 2020). თუმცა, სულ რაღაც 30 წლის წინ გერმანელ ხალ-

---

[1] ელიზავეტა კოჩეკოვა არის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი/კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის სტიპენდიატი; არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა აგენტები ცვლილებებისთვის“ ურთიერთობების მენეჯერი; ელ-ფოსტა: kochekova.liza@gmail.com

[2] სტატია ინგლისური ენიდან თარგმნა **მარიამ ქველაძემ**

ხს ორ მოსაზღვე ქვეყნად ჰყოფდა ბერლინის კედელი და რამდენადაც გეორგაფიულად ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, იმდენად შორს იყვნენ პოლიტიკური, ეკონომიკური და ცხოვრების სოციალური ასპექტების თვალსაზრისით. 1949 წლის გერმანიის დემოკრატიულ და ფედერალურ რესპუბლიკებად გაყოფა და შემდეგ 1990 წლის გერმანიის გაერთიანება, უნიკალური ევროპული მაგალითია განსხვავებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ რეჟიმში მცხოვრები ერთი ერისა.

ამ კონტექსტის გათვალისწინებით, საინტერესოა, ეროვნული კანონმდებლობის მიღების პროცესზე დაკვირვება, რამაც შემდგომში განაპირობა გერმანიის ტერიტორიაზე სრული კონტროლისა და სუვერენიტეტის დამყარება. უფრო მეტიც, განხორციელებულმა ცვლილებებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის (შემდგომში გდრ) განსაზღვა ევროპული საზოგადოების წევრობა ისეთი პრივილეგიებით, რომელიც მანამდე არასდროს ჰქონიათ. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის თანამედროვე დროში არსებული სეპარატისტული ტენდენციები, შესაძლო დაშლისა და გაერთიანების მოძრაობები, აღნიშნული პროცესი და მისი გადაჭრის გზები კარგად უნდა იქნეს გაგებული თანამედროვე ზეეროვნული თანამშრომლობის კონტექსტში.

გაერთიანების პროცესის დაწყება

პოლიტიკური ძვრების ქარცეცხლმა აღმოსავლეთ გერმანიამდე საბოლოოდ 1989 წელს მიაღწია, რომლის შედეგებიც გასაოცარი იყო ბევრი მიმართულებით: 344,000 ადამიანი ჩავიდა აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთ გემანიაში 1989 წელს, ხოლო 190,000 ადამიანი - 1990 წელს; დემონსტრაციებისა და არეულობის შედეგად 1989 წლის 18 ოქტომბერს ჩამოაგდეს აღმოსავლეთ გერმანიის დიდი ხნის გავლენიანი და კომუნისტი ლიდერი ერიხ ჰონეკერი; 1989 წლის 9 ნოემბერს გაიხსნა ბერლინის კედელი; 1990 წლის 18 მარტს ჩატარდა თავისუფალი არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვეს დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანებულმა არაკომუნისტურმა პარტიებმა (Harris, 1991).

დასაწყისიდან 1990-იან წლებამდე გერმანიის ორივე ნაწილის სისტემები არა მხოლოდ განსხვავებული, არამედ ერთმანეთის საწინააღმდეგო იყო. სწორედ ამიტომაც, ორივე მხარის მმართველი ელიტებისთვის აშკარა იყო, რომ რადიკალურად განსხვავებული სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემების შერწყმა მარტივად და სწრაფად ვერ მოხდებოდა. ამრიგად, ფუნქციონალური და სანდო სტაბილური სახელმწიფოს უზრუნველსაყოფად, მისი შექმნის სამართლებრივი საფუძველი კარგად მომზადებული და გააზრებული უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ, გერმანიის გაერთიანებისკენ პირველი ოფიციალური ნაბიჯი იყო ე.წ. *Staatvertrag-ზე* - „ფულადი, ეკონომიკური და სოციალური კავშირის შექმნის შესახებ შეთანმხება“ ხელმოწერა გდრ-სა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას (შემდგომში გფრ) შორის 1990 წლის 18 მაისს, რომელიც ცნობილია, როგორც პირველი „სახელმწიფო შეთანხმება“ (Quint, 2012). აღნიშნული შეთანხმება, ასევე, ითვალისწინება 1990 წლის 1 ივლისიდან გდრ-ში დასავლური გერმანული მარკის (Deutsche Mark) შემოღებას და ორი ეკონომიკური სისტემის ნაწილობრივ შერწყმას. ეს იყო უკონტროლო პუნქტი გერმანიის გაერთიანებისკენ მიმავალ გზაზე. მართლაც, გდრ-სა და გფრ-ს შორის პირველი სახელმწიფო შეთანხმების ხელმოწერით და განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ნაწილში გერმანული მარკის შემოღებით, ფაქტობრივად წინასწარ ნათლად განისაზღვრა ძირითადი ეკონომიკური სტრუქტურები და გერმანიის გაერთიანების პრობლემები. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგიერთი მკვლევარი პირველ სახელმწიფო შეთანხმებას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს გერმანიის გაერთიანების პროცესში, ვიდრე მომდევნო ე.წ. *Staatsvertrag-ს* - თავად გაერთიანების შესახებ შეთანხმებას (Bofinger, 1997).

ამასობაში გაერთიანების ხელშეკრულების სამართლებრივ ასპექტებზე მსჯელობებიც დაიწყო. ზემოთ ხსენებული პირველი სახელმწიფო შეთანხმების შემდეგ ეს წარმოადგენდა მთავარ შეთანხმებას გერმანიის გაერთიანების სამართლებრივი საფუძვლების შესაქმნელად. მოლაპარაკებებში ერთობლივად მონაწილეობდნენ პრემიერ მინისტრის ოფისის საპარლამენტო სახელმწიფო მდივანი,*Volkskammer-ის – გდრ-ის პარლამენტის* გაერთიანებული ქრისტიან დემოკრატიული (CDU) ფრაქციის ლიდერი გიუნტერ კრაუსი (Günther Krause), რომელიც პირველი სახელმწიფო ხელშეკრულების მოლაპარაკებების დროს გდრ-ის წარმომადგენელი იყო და, ასევე, დასავლეთ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი - ვოლფგანგ შუბლე (Wolfgang Schäuble) (Ritter, 2013).

მთავარი საკითხი, რაც მხარეების მიერ წარმოიჭრა იყო ის, რომ უნდა შეერთებოდა გდრ ფდრ-ს თუ ორივე ქვეყანას მიეღო ახალი საერთო კონსტიტუცია, რომლის რატიფიცირებაც მოგვიანებით ხალხის

მიერ მოხდებოდა. მოლაპარალების მხარეები შეჯერდნენ, რომ შეერთება მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი იყო. აღნიშნულმა დიქოტომიამ თითოელი ვარიანტის უპირატესობებსა და ხარვეზებზე მრავალი აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა როგორც გდრ-ში, ისე გფრ-ში: სამოქალაქო უფლებათა მოძრაობის აქტივისტები და აღმოსავლეთისა და დასავლეთის სოციალ დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი ლიდერი ახალი კონსტიტუციით გაერთიანებას უჭერდნენ მხარს. მათი აზრით, ახალ კონსტიტუციას შეეძლო შეექმნა ისეთი ლეგიტიმაცია და შესაძლებლომა, რომ ამ ვითარებაში უკეთესად წარმოდგენილიყვნენ გდრ-ის მოქალაქეები. მეორეს მხრივს, გდრ-ის მოქალაქეები და პოლიტიკური ლიდერები კმაყოფილი იყვნენ მათი მოქმედი კონსტიტუციით - ძირითადი კანონით და ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ გამოვიდნენ. საბოლოოდ, ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად საკითხი საერთო კონსტიტუციის შექმნის სასარგებლოდ გადაწყდა (Gunlicks, 1994).

სამართლებრივი ჰარმონიზაციის პროცესში მორიგ საკითხად დაისვა გფრ-ისა და გდრ-ის პოლიტიკური ორგანოების მომავლის საკითხი. გფრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი Schäuble მხარს უჭერდა, პირველ ეტაპზე გამოყენებულიყო გდრ-ის კანონი, ხოლო გფრ-ის კანონი კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. მისი პოზიცია ემყარებოდა მოსაზრებას, რომ დასავლეთ გერმანიის საკმაოდ რთული სამართლებრივი წესრიგის დაჩქარებულ რეჟიმში დამყარება აღმოსავლეთში მცხოვრებთათვის და ადმინისტრაციული ერთეულებისთვის დამაბნეველი იქნებოდა, რაც თავის მხრივ, გაართულებდა მის ადაპტირებას მსგავს წესრიგს მიუჩვეველ იურიდიულ სფეროში. სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია ჰქონდათ იუსტიციის მინისტრსა და სხვა დასავლელ ოფიციალურ პირებს. კერძოდ, მათი განცხადებით დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო ყოვლისმომცველი სამართლებრივი გაერთიანება გფრ-ის კანონმდებლობის შესაბამისად და დროებით შეზღუდულიყო გდრ-ის კანონის გამოყენება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასავლელი ბიზნესმენებიც ამ მოსაზრებას უჭერდნენ მხრას, რადგან გარკვეულ სამართლებრივ გარანტიებსა და პროგნოზებს ელოდნენ თავიანთ სამომავლო ინვესტიციებზე აღმოსავლეთში. საბოლოოდ, 1990 წლის აგვისტოში გდრ-ის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს დასავლეთ გერმანიის კანონის მიღებას, ხოლო გდრ-ის კანონი ძალაში დარჩა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოსაყენებლად (Ritter, 2013). ხელმოწერილი შეთანხმება უკიდურესად კომპლექსური იყო და დანართებთან ერთად 360 გვერდისგან შედგებოდა (Grimm, Wendel, Reinbacher, 2019). ეს უზარმაზარი დოკუმენტი აშკარად მიუთითებდა, რომ გერმანიის გაერთიანება მხოლოდ ბერლინის კედლის დანგრევა კი არ იყო, არამედ ასობით პოლიტიკოსისა და იურისტის თავდაუზოგავი შრომის შედეგიც, რამაც გერმანია, საბოლოოდ, ფუნქციონალურ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა ევროკავშირზე ჰეგემონიის დამყარების პერსპექტივით (Bulmer, Paterson, 2013).

სასაზღვრო საკითხები

კიდევ ერთი მთავარი პრობლემა იყო გერმანიის საზღვრების დამდგენი ხელშეკრულების არარსებობა. 1989 წელს ფედერალურმა რესპუბლიკამ თავის კონსტიტუციაში სპეციალურად მიუთითა, რომ საზღვრები დგინდებოდა 1937 წლის მდგომარეობით. ამასობაში, დასავლეთ გერმანიაში მაცხოვრებელთა დიდმა ნაწილმა, რომლებიც მანამდე განდევნილნი იყვნენ გერმანიის მიწებიდან, რადგან იმ მომენტისთვის საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს ჰქონდა ეს ტერიტორიები ოკუპირებული, ფედერალურ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა შეადგინეს. ფედერალური კანცლერის გარკვეულ ხნიანი ყოყმანის შემდგომ პარლამენტმა (Bundestag) და ხალხთა პალატამ (*Volkskammer*) 1990 წლის 21 ივნისს მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, რომლითაც პოლონეთთან აღმოსავლეთის ახალი საზღვარი დადგინდა. შედეგად, გერმანიამ დათმო ომამდელი 114,549 კმ2 სიდიდის ტერიტორია მდ. ოდერისა და მდ. ნეისეს აღმოსავლეთით.

1990 წლის 17 ივლისს ოთხი სახელმწიფოს - აშშ-ის, საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის, ასევე, პოლონეთის და ორივე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები პარიზში შეიკრიბენ სასაზღვრო საკითხების მოსაგვარებლად. ისინი შეთანხმდნენ, რომ გაერთიანებული გერმანიის სახელმწიფო კანონმდებლობიდან ამოიღებდნენ ყველა ჩანაწერს, რომელიც მიუთითებდა პოლონეთ-გერმანიის საზღვრის დროებითობაზე. შეხვედრაზე, ასევე, შეთანხმდნენ, რომ ახლად გაერთიანებული სახელმწიფო მხოლოდ ბერლინსა და აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას მოიცავდა. 1990 წლის 14 ნოემბერს გერმანიისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს საზღვრის აღიარების შესახებ შეთანხმებას პოლონეთსა და გერმანიას შორის (Harris, 1991).

გარდამავალი პერიოდის დასაწყისში სიტუაცია არც საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერტაშორისო შეთანხმებების მიმართულებით იყო გარკვეული. ეს არამხოლოდ გდრ-სა და გფრ-ში საგარეო საკითხებზე განსხვავებული და ხშირად საპირისპირო მოსაზრებებით იყო გამოწვეული, არამედ იმითაც, რომ გფრ უკვე იყო ევროპული თანამეგობრობის წევრი და შესაბამისად, ამ გაერთიანების სადამფუძნებლო და სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებაც ჰქონდა აღებული. დამატებით უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ გერმანია იმ დროისთვის იყო ვარშავის პაქტის წევრი, სადაც ძალაუფლება საბჭოთა კავშირს ჰქონდა, ხოლო დასავლეთ გერმანია კი - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) კლუბს მიეკუთვნებოდა. შესაბამისად, პირველი, რაც მოლაპარაკებების დროს დაისვა იყო სახელმწიფოთა მიერ თანხმობის გაცემის საკითხი, როდესაც სუვერენიტეტის ნაწილი უნდა გადაცემოდა მთავრობათაშორის ინსტიტუტებს, მათ შორის, ასეთი ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირებისას. უფრო კონკრეტულად კი, სახელმწიფოებს სურდათ ძლიერი ხმა ევროპულ თანამეგორობაში, რომლის კომპეტენციებიც მოლაპარაკებების დროს არ იყო დაკავშირებული საგარეო ურთიერთობებთან და უფრო მეტად ევროპული საშინაო პოლიტიკის ხასიათს ატარებდა. შედეგად, 1992 წლის 21 დეკემბერს ცვლილება შევიდა ახალი კონსტიტუციის 23-ე მუხლში, რითაც განისაზღვრა სახელმწიფოთა როლი ევროპულ საქმეებში და, ამავდროულად, აღნიშნულით შეიზღუდა ფედერალური მთავრობის მანამდე არსებული ექსკლუზიური უფლებამოსილება ევროპული პოლიტიკის საკითხებში (Gunlicks, 1994). მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩებოდა აღმოსავლეთ გერმანიის ჩართვა ევროპული თანამეგობრობის საქმიანობაში. უნდა ვაღიაროთ, რომ გერმანიის გაერთიანება და ბერლინის შერიგება ვარშავასთან ვერ მოხდებოდა ევროპული ინტეგრაციისა და ეროვნული სუვერენიტეტის კონცეფციის განვითარების გარეშე. აღნიშნული გამომდინარეობდა იქიდან, რომ გერმანიის ორი მთავრობის გაერთიანების საფუძველი იყო აღმოსავლეთ გერმანიის მიერთება ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასთან, სადაც ყველას ჰქონდა თავისუფალი გადაადგილების უფლება, სამოქალაქო თავისუფლება და სადაც დაცული იყო სახელმწიფოთა სუვერენული უფლებები (Hailbronner, 1991).

ევროპული თანამეგობრობა და გერმანიის გაერთიანება

სიტუაცია, რომლის პირისპირაც ევროპული თანამეგობრობა იდგა 1990 წელს რომის ხელშეკრულების შემქმნელთათვის ერთდროულად უნიკალურიც იყო და მოულოდნელიც, რადგან არც ერთი წევრი სახელმწიფო, რომელიც მანამდე მიუერთდა ევროპულ თანამეგობრობას ეს არ გაუკეთებია დაშლისა თუ გაერთიანების საფუძველზე. ამასთან, გერმანიის შემთხვევა გამორჩეული იყო, ასევე, რიგ სპეციალურ დებულებათა გამო. უპირველეს ყოვლისა, რომის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დროს გერმანიის დელეგაციამ ჯერ კიდევ 1957 წელს გამოსცა ეს ცნობილი დეკლარაცია: „ფედერალური მთავრობა ეყრდნობა შესაძლებლობას, რომ გერმანიის გაერთიანების შემთხვევაში გადაიხედება საერთო ბაზრისა და ევრატომის შესახებ შეთანხმება“ (Giegerich, 1991, გვ. 398).

ამავე დროს, მუდმივი გერმანული „რაიხის“ საკონსტიტუციო სასამართლოს თეორიის მიხედვით გდრ არც კი მიიჩნეოდა ცალკე სახელმწიფოდ. შესაბამისად, გფრ გდრ-თან ვაჭრობას ყოველთვის ადგილობრივ ვაჭრობად განიხილავდა, რადგან სხვა შემთხვევაში შესაძლოა პრობლემა ყოფილიყო კონსტიტუციური თვალსაზრისით. ამ თეორიის ერთ-ერთი მაგალითია გდრ-სა და FRN-ს შორის ვაჭრობა. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) კანონმდებლობის თანახმად, ფედერალურ რესპუბლიკას უნდა შეექმნა საბაჟო საზღვარი ერთიანი საბაჟო ტარიფის შემოღებისა და გდრ-თან ვაჭრობის სხვა სახის შეზღუდვების დაწესების მიზნით. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, 1957 წლის ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) ხელშეკრულებაში დაინტეგრირდა „პროტოკოლი გერმანიის შიდა ვაჭრობის შესახებ“. ამრიგად, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) ზოგადი წესები გდრ-სა და ფედერალურ რესპუბლიკას შორის სასაქონლო გადაზიდვაზე არ ვრცელდებოდა, თუმცა, აღნიშნული წესები გამოიყენებოდა გდრ-სა და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) სხვა სახელმწიფოებს შორის არსებულ სასაქანლო გადაზიდვაზე. ამ გზით, გდრ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობისგან (EEC) ყოველთვის იღებდა სარგებელს და გერმანიის გაერთიანებამდეც კი თანამეგობრობის ე.წ. „კვაზი“ წევრად მიიჩნეოდა (Quint, 2012). ამავდროულად, გერმანიის გაერთიანების კონტექსტში გფრ-საც და გდრ-საც ახალი სახელმწიფოს შექმნა მოუწიათ თავიანთი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობების გათვალისწინებით. აღნიშნულისთვის ერთ-ერთი საშუალება იყო ე.წ. *ტაბულა რასა-ს* წესის გამოყენება, რომლის მიხედვითაც ახლად შექმნილ სახელმწიფოს არანაირი საერთაშორისო ვალდებულებები არ ეკისრება და

შესაძლებლობა აქვს, მისი საგარეო საქმიანობა შეიმუშაოს სურვილისამებრ. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით, ფიზიკური საზღვარი, მართალია, გერმანიაში აღარ იარსებებდა, მაგრამ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში უხილავი საზღვარი მაინც დარჩებოდა. ამ კუთხით საუკეთესო და საბოლოო ნაბიჯი ევროპის საბჭოს მხრიდან გადაიდგა.

1990 წლის 28 აპრილის დუბლინის სპეციალურ შეხვედრაზე, მიმდინარე დებატებში ჩარევის გარეშე ევროპის საბჭომ შეძლო დავის დასრულება, როდესაც განაცხადა, რომ გაერთიანების შემდეგ EEC-ის ხელშეკრულებების გამოყენება გფრ-ში მოხდებოდა გადასინჯვის გარეშე. ამავე დღეს, ყველა წევრი სახელმწიფოს მეთაურმა და მათმა მთავრობებმა, რომლებიც მოქმედებდნენ მათი სახელმწიფოების სახელით და არა როგორც EEC-ის წარმომადგენლები, მხარი დაუჭირეს გაფართოებას. მოგვიანებით, გაერთიანების პროცესის საზოგადოების კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვისა და მოლაპარაკებების შესახებ ინფორმირებულობისთვის, ევროკომისიამ დუბლინის საბჭოს დასკვნების შესაბამისად გააგრძელა მოლაპარაკებები, ძირითადად იმ საკითხების ირგვლივ, სადაც საზოგადოების ინტერესები იდგა სასწორზე.

დუბლინის საბჭოს წევრი სახელმწიფოების პოზიციის გათვალისწინებით გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე თანამეგობრობის კანონი ავტომატურად იწყებდა მოქმედებას. ამრიგად, თანამეგობრობას ჰქონდა კონკრეტული მექანიზმების მიღების შესაძლებლობა, თუკი ეს საჭირო იქნებოდა გარდამავალი ზომების გამოყენებისას. ამასობაში, ძალაში შევიდა გდრ-ის მიერთება გფრ-ის ძირითად კანონმდებლობასთან: და ვინაიდან იგი სრულად შეესაბამებოდა თანამეგობრობის კანონმდებლობას, მიერთებას ხელი უნდა შეეწყო კანონმდებლობის დაახლოების პროცესისა და მისი სწორად გამოყენებისთვის გდრ-ის ტერიტორიაზე (Jacqué, 1991). ახლად დამატებულ გერმანიის მიწებზე ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) კანონის დაუყოვნებელი გამოყენება გამომდინარეობს შეთანხმების 227-ე მუხლიდან, რომელიც ითვალისწინებს, რომ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) შესახებ შეთანხმება ვრცელდება წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიულ ერთეულებზე, თუ მათთვის სპეციალური დებულებები არ არის დადგენილი. ამრიგად, სახელმწიფოთა მსგავსად 'მოძრავი საზღვრების' პრინციპი შესაძლოა გამოყენებულიყო ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) მსგავს ზეეროვნულ ორგანიზაციებზეც (Hailbronner, 1991).

შედეგად, გასაგებ პოლიტიკურ მიზეზთა გამო, წევრმა სახელმწიფოებმა არჩიეს აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ყოველგვარი გადასინჯვის გარეშე გავრცელებულიყო ევროპის თანამეგობრობის სამართალი.

ერთ-ერთი, ვინც პოლიტიკური რეალობა აღიარა და გერმანიას დაეხმარა გაერთიანების პროცესისკენ მიმავალ ბოლო ნაბიჯებში, იყო კომისიის პრეზიდენტი ჟაკ დელორი (Jacques Delors). იგი თვლიდა, რომ გერმანიისთვის მეტი ბიძგი უნდა მიეცათ ინტეგრაციის მიმდინარე პროცესში. სწორედ, მან შეუწყო ხელი გერმანიას ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში გაწევრიანებაში. ასევე, მისი იდეა იყო დროებითი კომიტეტის შექმნა, რადგან, მიაჩნდა, რომ ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ შესაძლოა აღმოსავლეთ გერმანიას ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში (EEC) გაწევრიანების სურვილი გამოეხატა. აღნიშნულის პასუხად, პარლამენტმა ჩამოაყალიბა დროებითი კომიტეტი, რომლის ამოცანასაც ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში (EEC) გდრ-ის ინტეგრაციის გავლენის ანალიზი, გერმანიის გაერთიანების პროცესში კონსტრუქციული წვლილის შეტანა და თავად ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) ახალ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში ადაპტირება წარმოადგენდა.

დროებითი კომიტეტის ხელშეწყობით, 1990 წლის ივლისში პარლამენტმა შეძლო დონელის შუალედური ანგარიშის მიღება, რომლითაც გერმანიის გაერთიანების პროცესის პარალელურად განისაზღვრა ევროინტეგრაციის განვითარების საჭიროება და ხაზი გაესვა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) ღირებულებების შესუსტების საპრევენციოდ ყოფილი გდრ-თვის შეღავათებისა და გარდამავალი ზომების გაუქმების მნიშვნელობას, მათ შორის, ერთიანი ბაზრის შექმნას.

მეორე მხრივ, დროებითი კომიტეტის შექმნის პარალელურად ევროპის საბჭოს ზოგიერთი წარმომადგენელი შიშობდა გერმანიის შესაძლო დაბრუნებაზე ექსპანსიონიზმის პოლიტიკაში. მათი შიშის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ გფრ-ის კანცლერს ჰელმუთ კოლს (Helmut Kohl) ასეთი ამბიციები არ ჰქონია; მას სწამდა, რომ გაერთიანების შედეგი იქნებოდა არა „გერმანული ევროპა", არამედ „ევროპული გერმანია" (Smith, 2009). საბოლოოდ ასეც მოხდა.

ამავდროულად, საზოგადოების შიგნით არსებობდა შეთანხმება, რომ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) სამართლებრივი წესრიგის არსებითი ნაწილები იქამდე არ გამოყენებულიყო, სანამ

გდრ-ის ინდუსტრიული და ეკონომიკური სისტემა სხვა წევრ სახელმწიფოთა დონეს არ გაუთანაბრდებოდა. საბჭოს მიერ მიღებული დროებითი ზომები ეხებოდა მრეწველობის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სფეროს. ასევე, გათვალისწინებული იყო, რომ დროებითი რეჟიმის დასრულების შემდეგ, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (EEC) სამართლებრივი რეჟიმი გავრცელებულიყო გერმანიის მთელ ტერიტორიაზე. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ გფრ იყო რომის ხელშეკრულების ხელმომწერი მხარე, ცხადი გახდა, რომ მოხდა ყველა რეგიონისა და პროვინციის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციურ შემადგენელ ნაწილებად გაერთიანება (Hailbronner, 1991).

გერმანიის გაერთიანების მიზნით მომდევნო და უკანასკნელი ნაბიჯი იყო 1990 წლის 12 სექტემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულება გერმანიის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის შესახებ და მისი მე-7 მუხლი, რომლითაც დასრულდა ოთხი სახელმწიფოს უფლებები და პასუხისმგებლობები ბერლინთან და გერმანიასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ძალით ოთხმა სახელმწიფომ გააუქმა ბერლინთან და სრულიად გერმანიასთან დაკავშირებული უფლებები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1991 წლის 15 მარტს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა უკანასნკელმა გამოსცა სარატიფიკაციო სიგელი (Frowein, 1992). თუმცა, ოთხ სახელმწიფოს მანამდე უკვე ჰქონდა დეკლარაციით უფლებამისილებების მოქმედება შეჩერებული, რომელიც გერმანიის გაერთიანებასთან ერთად ამოქმედდა.[3] ამ დღიდან, გერმანიამ საბოლოოდ დაასრულა გაერთიანების პროცესი და ბერლინი გახდა გერმანელი ხალხის ერთადერთი წარმომადგენელი საერთაშორისო ასპარეზზე.

დასკვნა

გერმანიის გაერთიანება მე-20 საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად მიიჩნევა. თითქმის ნახევარ საუკუნიანი გაყოფის შემდეგ, საზღვრის ორივე მხარეს მყოფმა ადამიანებმა იგრძნეს საჭიროება, აღედგინათ ერთიანი სახელმწიფოებრიობა და დაიწყეს გაერთიანების პროცესი. თუმცა, განსხვავებული წარსულის გამო გდრ და გფრ-იც ორივე გარკვეული გამოწვევების წინაშე დადგა გერმანიის გაერთიანებისკენ მიმავალ გზაზე.

უწყვეტი ეროვნული პოლიტიკისა და საგარეო დახმარების წყალობით, ორივე სახელმწიფომ მოახერხა სახელმწიფო შეთანხმებისა და გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა, პოლონეთთან საზღვრის საკითხის მოგვარება, უზრუნველყო გერმანიის ყველა რეგიონის ეფექტური წევრობა ევროპულ საზოგადოებაში. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ორივე სახელმწიფოს ერთიანმა ძალისხმევამ, პოლიტიკურმა სურვილმა და რესურსების ხელმისაწვდომობამ, ისევე, როგორც საგარეო მხარდაჭერამ, არამარტო გდრ-ისა და გფრ-ის ისევ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მოიტანა, არამედ საფუძველი ჩაუყარა მის სამომავლო პოლიტიკურ ლიდერობას, ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობას ევროპულ თანამეგობრობასა, და მოგვიანებით, ევროკავშირში. ასევე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ევროპული თანამეგობრობის გაფართოების საკითხის უნიკალურობა, რაც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პრეცედენტი საერთაშორისო და ეროვნული სამართლის კონტექსტში.

ბიბლიოგრაფია:

Bofinger P. *The German Currency Union of 1990 — A Critical Assessment: The Impact on German Monetary Policy*. In: Frowen S.F., Hölscher J. (eds) The German Currency Union of 1990. Palgrave Macmillan, London, 1997, https://doi.org/10.1007/978-1-349-25368-5_11

Bulmer, S., Paterson, W. E. Germany as the EU's reluctant hegemon? Of economic strength and political constraints, Journal of European Public Policy, 20:10, 1387-1405, 2013, DOI: 10.1080/13501763.2013.822824

European Union, *European Parliament: Overview*, available at https://europa.eu/european-union/about-eu/institutions-bodies/european-parliament_en (last accessed February 26, 2021)

Frowein, J. A. (1992). *The Reunification of Germany. The American Journal of International Law, 86(1), 152.* doi:10.2307/2203146

Giegerich, Thomas. "The European Dimension of German Reunification: East Germany's Integration into the European Communities." *ZaöRV* 51 (1991): 384-450

[3] დეკლარაცია ოთხმხრივი უფლებებისა და მოვალეობების მოქმედების შეჩერების შესახებ, ოქტ. 1, 1990, გადაბეჭდილი 30 ILM 555 (1991), 85 AJIL 175 (1991).

Grimm D., Wendel M., Reinbacher T. *European Constitutionalism and the German Basic Law*. In: Albi A., Bardutzky S. (eds) National Constitutions in European and Global Governance: Democracy, Rights, the Rule of Law. T.M.C. Asser Press, The Hague, 2019, https://doi.org/10.1007/978-94-6265-273-6_10

Gunlicks, Arthur B. "German Federalism after Unification: The Legal/Constitutional Response." *Publius* 24, no. 2 (1994): 81-98, available at http://www.jstor.org/stable/3330723 (last accessed February 25, 2021)

Jean-Paul Jacqué. *German Unification and the European Community*, *European Journal of International Law*, Volume 2, Issue 1, 1991, Pages 1–17, https://doi.org/10.1093/ejil/2.1.1

Harris, Chauncy D. "Unification of Germany in 1990." *Geographical Review* (1991): 170-182, available at https://www.jstor.org/stable/215981 (last accessed March 10, 2021)

Hailbronner, Kay. "Legal Aspects of the Unification of the Two German States." *Eur. J. Int'l L.* 2 (1991): 18, available at http://www.ejil.org/pdfs/2/1/2024.pdf (last assessed March 10, 2021)

Quint, Peter. *The Imperfect Union: Constitutional Structures of German Unification*, 1-482. 2012

Ritter G.A. *The Politics of German Unification. Social, Economic, Financial, Constitutional and International Issues*. In: The Rise and Fall of a Socialist Welfare State. German Social Policy, vol 4. Springer, Berlin, Heidelberg, 2013, https://doi.org/10.1007/978-3-642-22528-4_3

Smith, Julie. *How 1989 changed the history of European integration*. European View, 2009. 8. 255-262. 10.1007/s12290-009-0096-4.